დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

აკაკი წერთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თამთა კვინიკაძე
წევრები:
ნათია ბუთხუზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. კვინიკაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ბუთხუზი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: *საჯარო სამართლის იურიდიული პირი*

საიდენტიფიკაციო კოდი: 212693049

სახე:

- [x] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 25.07.24 წლის N0000907887ბრძანებით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ტვირთების ექსპედირება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება, რომლის მიზნით განახორციელა ვიზიტი სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 12 აგვისტოს (ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. #21).დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება განხორციელდა, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ, ასევე დარგის ექსპერტის მიერ. ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ჩატარდა წინასწარი შეხვედრა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (ZOOM) გამოყენებით, სადაც განხილული იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შეჯერებული იქნა საყურადღებო საკითხები და შემუშავებული იქნა ვიზიტის განრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა განრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, ბიბლიოთეკარსა და პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიულ მასწავლებლებს. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ტვინიკაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ბუთხუზი

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინიდიკატორი 2.1.1.4 რჩევა: დარგობრივ ზოგად მოდულებში თემატიკის გათვალისწინებით დაემატოს მათ ხელთ არსებული საგანმანათლებლო რესურსები.

ინდიკატორი 2.2.1.2 -დაწესებულებამ ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებამდე უზრუნველყოს პროგრამის პერსონალის პირად საქმეებში საქართველოს მთავრობის დადგენილების (No463 2020 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ მოთხოვნილი ცნობის წარმოდგენა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ტვირთების ექსპედირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება.N 113 (23/24) 16/07/2024
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქუთაისი , ახალგაზრდობის გამზირი N 98
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ტვირთების ექსპედირება განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ერთ - ერთი მთავარი ფაქტორი მოსახლეობის დასაქმებაა. აწსუში ადრე განხორციელებული საგნობრივი პროფესიული პროგრამის ,, სატვირთო გდაზიდვების ლოგისტიკის ოპერატორი და მიმდინარე მოდულური პროფესიული პროგრამის ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა'' კურსდამთავრებულების და სტუდენტების გამოკითხვები აჩვენებს ამ პროფესიაზე მზარდ მოთხოვნას. საქართველოსათვის ძალზედ მნიშვნელოვანი სექტორია ტრანსპორტირება და დასაწყობება, რაც ყოველწლიურად მზარდი გადაზიდვების მაჩვენებლებით დასტურდება. სფეროს განვითარების ტემპის შესანარჩუნებლად აუცილებელია კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობაც.
2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;** სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 16 ივლისის N 113(23/24) ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ პროგრამა ,,ტვირთების ექსპედირებაზე" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. აღნიშნული თანხვედრაშია „ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ,,სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის" მარეგულირებელ წესში (დამტკიცებულია რექტორის 2023 წლის 24 იანვრის #12

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით) და ეყრდნობა 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ დამტკიცებულ ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს". ,,სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის" მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შემდეგი საკითხები: პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წინაპირობები; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება და აპლიკანტთა რეგისტრაცია; აპლიკნტთა შერჩევა; შერჩევის პროცედურები საგანმანათლებლო პროგრამის დონისა და განხორციელების ფორმის მიხედვით; ჩარიცხვის პროცედურები, პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის მოპოვება; სსსმ პირთა ჩარიცხვის წესი და პროცედურა და სხ. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;** უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია. კერძოდ, რექტორის 2023 წლის 24 იანვრის №12 ბრძანებით დამტკიცებულია „პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომლის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია A , B და C გარემო; ადამიანური და მატერიალური რესურსი; პროგრამის სპეციფიკა; მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარი და ა.შ. პროფესიული პროგრამის ,,ტვირთების ექსპედირების" მისაღები კვოტა არის 40 სტუდენტი. (20-20 სტუდენტი მიღებაზე) ასევე, განსაზღვრულია A , B და C გარმო; გამოყოფილია 203, 205 და 102 აუდიტორიები. B გარემო აღჭურვილია ყველა რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე (მაგიდა/სკამი/კომპიუტერი) და პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა/სკამი/კომპიუტერი), პრინტერი, პროექტორი. A გარემოც შესაბამისად 20 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო რესურსებით თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის ჩასატარებლად. C გარემო იმიტირებული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული რესურსით. აუდიტორიებს ორ ცვლაში აქვს 40 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული აღჭურვილობა/მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მინიმალური მატერიალური რესურსების დანართის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან და გათვლილია ოც (20) კაციან ჯგუფზე. უნივერსიტეტში არის პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით და აღჭურვილობით მოწყობილი გარემო. პროფესიულ და ზოგად მოდულებში მითითებულია სტანდატით გათვალისწინებული სარეკომენდაციო ლიტერატურა. თუმცა პროფეიუსლ მასწავლებლებტან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დამატებითი საგანმანათლებლო რესურსი - სახელმძღვანელოები და ელექტრონული ვერსიები განთავსებულია ბიბლიოთეკაში და B გარემოში, რაც დასტურდება დათვალიერებით, შესაბამისად . დაწესებულებას ეძლევა **რეკომენდაცია: დარგობრივ და ზოგად მოდულებში თემატიკის გათვალისწინებით დაამატოს მათ ხელთ არსებული საგანმანათლებლო რესურსები.** ასევე, ვიზიტის შემდგომ დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება (ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №252-244), რომელიც მანამანდე ჰქონდათ დაწყებული მოლაპარაკების პროცესის პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი კომპიუტერული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების შეძენაზე, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, უნივერსიტეტის რექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტვირთების ექსპედირება“ დამტკიცებულია 2024 წლის 16 ივლისის №113(23/24) ბრძანებით დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ტვირთების ექსპედირება“ შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან - „ტვირთების ექსპედირება“ . პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს: აღწეროს ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები; აღწეროს ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები; დაგეგმოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა; მოამზადოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაცია; განახორციელოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა; აკონტროლოს ტვირთის გადაზიდვა; აკონტროლოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხი. პროგრამის დასახელება და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:,,ტვირთების ექსპედირება'' შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ტვირთების ექსპედირება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლების სფეროების კლასიფიკატორის საფუძველზე და სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- რექტორის 2023 წლის 24 იანვრის ბრძანება N12 დამტკიცებულია სასწავლო პროცესისა და ხარისხის მარეგულირებელი წესი
- კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული მისია;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

კერძოდ: ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა A, B და C (იმიტირებული) გარემო. B კომპიუტერული კლასი და A თეორიული სწავლების სივრცე, რომელიც აღჭურვილია საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებით, დაფით, ჯგუფში პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად (20 პროფესიულ სტუდენტზე). ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალური რესურსების შესაბამისობა მოთხოვნილი ზღვრულ რაოდენობასთან. დაწესებულებას ავტორიზაციის განაცხადში წარმოდგენილი არ ჰქონდა მემორანდუმები, რომელიც ვიზიტის დროს წარმოადგინეს. პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

-ინდ.მეწარმე დავით თვალთვაძე“ (გამანაწილებელი ცენტრი);

-შპს ,,მეგზური 2024“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მიზანია სტუდენტს გააცნოს რეალურ გარემოში მიმდინარე პროცესები. ასევე, ხელი შეუწყოს სამომავლოდ მათ დასაქმებას.

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ განხორციელებაში ჩართულია 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 4 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 13 დარგის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი (ორი განმახორციელებელი ემსახურება ზოგად და პროფესიულ მოდულებს). სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 სტუდენტს. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ჰყავს კვალიფიკაციითა ან/ და სამუშაო გამოცდილებით განმახორციელებელი. საფრთხე არ იქმნება პროგრამის უწყვეტად განხორციელების. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ასევე განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე, სადაც ძირითად განმახორციელებელ პერსონალს არ ქონდა ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ, თუმცა ამჟამად გაფომებულია მხოლოდ წინარე ხელშეკრულებები, შესაბამისად დაწესებულებას მიეცეს **რეკომენდაცია, რომ ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებამდე უზრუნველყოს პროგრამის პერსონალის პირად საქმეებში საქართველოს მთავრობის დადგენილების (№463 2020 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ მოთხოვნილი ცნობის წარმოდგენა.**

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, ვიზიტის დროს, განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელის და ყველა პედაგოგის პირადი საქმის შესწავლა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაძლებლობას. რაც დასტურდება დიპლომები და სამუშაო გამოცდილებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ, სადაც მითითებულია თითოეული მოდულის განმახორციელებელი პირი და მისი კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება, რომლის მიხედვითაც არჩეულ იქნა განმახორციელებლად. შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ტვირთების ექსპედირება“ ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება მისი პირადი საქმით. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია პროფესიული განათლების ცენტრის ,,სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის" მარეგულირებელ წესში (დამტკიცებული რექტორის 2023 წლის 24 იანვრის #12 ბრძანებით) სამუშაო აღწერილობაში დეტალურადაა გაწერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები. პროგრამის ხელმძრვანელის პირადი საქმის შესწავლით და მასთან გასაუბრებიუთ დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროფესიულ სტუდენტს აქვს წვდომა ელექტრონულ ვერსიებთან და წიგნად ფონდთან ბიბლიოთეკაში, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით, სამუშაო ადგილებით, ასლგადამღები აპარატით, პრინტერით, ასაკინძი საშუალებით. ვიზიტის დროს გასაუბრებისას დადგინდა, უნივერისტეტს ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული საქართველოს საკანომდებლო მაცნესთან, რომლსაც განაახლებს სექტემბრის თვიდან. თუმცა პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პროგრამის სპეციფიკასთან დაკავშირებული ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი ინტერნეტსივრცეში და სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ბმულების საშუალებით.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; დაწესებულებას რეგულაციით განსაზღვრული აქვს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში მოახდენს საჭიროებისამებს ასეთი პირის ინტეგრირებას. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის ჩართვას,

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. პროგრამის განხორციელებისთვის უნივერსიტეტი იღებს ვაუჩერულ დაფინასებას. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი - 14 პროფესიული სტუდენტი 20 დან. დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს - შემოსავლების და ხარჯების სახეობას. ხარჯვითი ნაწილი ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებელის და პროგრამის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის და კომუნალურ ხარჯებს. ასევე, ხარჯებს პროგრამის განვითარებისთვის. საავტორიზაციოდ წარმოდგენილი დოკუმეტაციის დათვარიელებისას აღმოჩნდა, რომ პროფესიული მასწავლებლის ხელფასის ანგარიშის ნაწილში იყო ტექნიკური ხარვეზი, არასწორია პროგრამის საკონტაქტო საათები, რომელიც ვიზიტის დროს დაგვიდასტურეს, გასწორებადია. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- შესყიდვის ხელშეკრულება;
- ,,სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის“ მარეგულირების წესი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება
2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.** ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესებს. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ასევე დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას. დოკუმენტის გაცნობის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის მიხედვით დაგეგმეგანახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას. როგორც შესაბამის პირებთან გასაუბრებით ირკვევა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც პერიოდულად ხორციელდება: პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვები და ხორციელდება მათი შეფასების ანალიზი

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მიზნით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა EP QA ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესს, რომლის თანახმად პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის შედეგად აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. პროფესიული განათლების შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- გასაუბრებებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა EP QA;

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება
2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.** სასწავლო გეგმა უზრნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კალენდარული გეგმის ფორმა, დაწესებულებაში მოქმედი ,,სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის“ მარეგულირებელი წესის 40-ე მუხლის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოდულის დაწყებამდე ვალდებულია წარუდგინოს კალენდარული გეგმა პროგრამის ხელმძღვანელს და განიხილოს მასთან ერთად. შემდგომ მისი დასტურისა გადაეცემა შესათანხმებლად პროფესიული განათლების მენეჯერს/კოორდინატორს. ,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია და დამტკიცებულია სასწავლო გეგმა, რომელშიც მოდულების დალაგებულია ლოგიკური თანამიმდევრობით. სასწავლო გეგგმა ითვალისწინებს ყოველკვირეულ დატვირთვას, დასვენების კვირებს და ა..შ ქართულენოვანი სტუდენტებისთვის სწავლა გრძლედება 65 კვირა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 85 სასწავლო კვირა. სასწავლო გეგმა აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. პროგრამისათვის „ტვირთების ექსპედირება“ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, პროფესიულ მოდულში ,,ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები“ დამოუკიდებელ საათებში ნაცვლად 45 უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იყოს 42. ასევე, პროფესიულ მოდულში ,,სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა“ საკონტაქტო საათები ნაცვლად 285 უნდა იყოს 293. ვიზიტის დროს დაწესებულებამ დაგვიდასტურა აღნიშნული, რომელიც გამოსწორებადია. შესაბამისად, პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის განმარტებით, ტარდება პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; დაწესებულებაში არსებული თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი იძლევა საშუალებას ყველა პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ შემუშავებულია მექანიზმები, რომელიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომლის მიხედვითაც შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ხდება პროფესიული სტუდენტის საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს/ მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.ასევე სტუდენტებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვები საჭიროებებთან დაკავშირებით.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;** მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - ლექცია დემონსტრირებით, დისკუსია, პრაქტიკული სავარჯიშო, ინტერაქტიული ლექცია, დისკუსია,პრაქტიკული დავალება, შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, დისკუსია. წარმოდგენილი მეთოდები მოდულის განმახორციელებელ პირს შეუძლია შეცვალოს კონკრეტული საკითხის შესაბამისად მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;** სასწავლო პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდნეტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. აუცილებლობის შემთხვევაში სასწავლო პროცესს გეგმავს ცვლებში, სტუდენტების მოთხოვნაზე დროულად აბრუნებს უკუკავშირს.უზრუნველყოფს დროულად ცნობების გაცემას.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;** დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა გაფორმებული მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: ,,ინდ.მეწარმე დავით თვალთვაძე“ (გამანაწილებელი ცენტრი); შპს ,,მეგზური 2024“ შემდეგი მოდულების ფარგლებში ,,სატრანსპორტო საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა; ,,სატრანსპორტო საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება“; ,,სატრანსპორტო საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მიზანია სტუდენტს გააცნოს რეალურ გარემოში მიმდინარე პროცესები. ასევე, ხელი შუწყოს სამომავლოდ მათ დასაქმებას.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. პროფესიული განათლების ცენტრის ,,სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის" მარეგულირებელ წესში (დამტკიცებულია რექტორის 2023 წლის 24 იანვრის #12 ბრძანებით) მუხლი 48. სასწავლო პროცესის განხორციელების სივრცეებში უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფა განსაზღვრულია სასწავლოს სივრცეებში უსაფრთხოების წესები, რომელსაც მოდულის განმახოციელებელი აცნობს სტუდენტს. შესაბამისად, სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- სასწავლო გეგმა.
- ვიზუალური დათვალიერება.
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე.
- ინტერვიურება.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.** დაწესებულებიას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს ისეთ ეტაპებს, როგორებიცაა: შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა; შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება; შეფასების განხორციელება; შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმი.** დაწესებულების მიერ აწსუ პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით კონკრეტული პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამ პროცესში გამოყენებული იქნება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.** დაწესებულებას აქვს შემუშავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დაწესებულებაში შემუშავებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. ამ დოკუმენტით ორგანიზებულია სასწავლო პროცესი. რეგულაციებით გაწერილია ყველა პროცესი. პროგრამის განმახორციელებელი პირების განცხადებით შეფასების შედეგების ანალიზი ეხმარებათ შეფასების პროცესის შემდგომი განვითარებისთვის. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განმავითარებელი შეფასების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

16.08.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: